უცხოელი ვიზიტორები მათ მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაული საქართველოში

2014 წელი

საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები

(ზოგადი მიმოხილვა)

❖ **2014** წელს საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებულია უცხო ქვეყნის 559 მოქალაქე, რაც 42 პირით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

❖ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში დაზარალებულია 51 სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე, რომლის პირველ სამეულს იკავებს რუსეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი.

❖ დაზარალებულებს შორის ჭარბობენ მამაკაცები - 366 პირი (65,5%), ქალების რაოდენობა შეადგენს 191-ს (34,1%), ხოლო 2 პირის (0,4%) შემთხვევაში სქესი უცნობია. მამაკაცებში, ისევე როგორც ქალებში, დაზარალებულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 25-44 წლის ასაკობრივ ინტერვალში.

❖ დაზარალებული უცხოელები სხვადასხვა პერსონალური მახასიათებლების მიხედვით: ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, დაზარალებულებში სჭარბობენ დაოჯახებული პირები (310 პირი), ხოლო ბოლო ადგილს იკავებენ ქვრივები (11 პირი). განათლების კუთხით, ჭარბობენ საშუალო (205 პირი) განათლების მქონე მოქალაქეები, ხოლო ამ მხრივ ბოლო ადგილი უკავიათ განათლების არმქონე პირებს (9 პირი). დასაქმების მიხედვით ყველაზე დიდი წილი მოდის უმუშევრებზე (286 პირი), ხოლო ბოლო ადგილზე არიან მოსწავლეები (12 პირი).

❖ უცხო ქვეყნის დაზარალებულ მოქალაქეთა რაოდენობით საქართველოს რეგიონებს შორის პირველ ადგილზეა აჭარა (189 პირი), მეორეზე – თბილისი (149 პირი), ხოლო ბოლო ადგილს იკავებს - მცხეთა-მთიანეთი (1 პირი). 100 000 ვიზიტორზე დაზარალებულ უცხოელთა ხვედრითი წილის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება აჭარასა (3,4) და თბილისში (2,7), ხოლო ყველაზე დაბალი მცხეთა-მთიანეთში (0,1). 2014 წელს, სულ საქართველოში დაზარალებულ უცხოელთა ხვედრითი წილი 100 000 ვიზიტორზე არის - 10, 2. ხოლო 2013 წელში ფიქსირდება 11, 2.

საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში მხილებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები

(ზოგადი მიმოხილვა)

- **2014** წელს საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში მხილებულ იქნა 622 უცხო ქვეყნის მოქალაქე, რაც 45 პირით მეტია წინა წელთან შედარებით.

- მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში დანაშაულის ჩადენაში მხილებულ იქნა 44 სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე, რომელთა პირველ სამეულში შედის თურქეთი, ტაჯიკეთი და რუსეთი.

- დამნაშავეებს შორის ჭარბობენ მამაკაცები - 512 პირი (82,4 %), ქალების რაოდენობა შეადგენს 103 -ს (16,5%), ხოლო უცნობია 7 პირის (1,1 %) შემთხვევაში სქესი უცნობია. მამაკაცებში, ისევე როგორც ქალებში, დამნაშავეთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 25-44 წლის ასაკობრივ ინტერვალში. აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში მხილებულ იქნა 17 წელს მიუღწეველი უცხო ქვეყნის 8 მოქალაქე: 5 მამაკაცი, 3 ქალი.

- დამნაშავე უცხოელები სხვადასხვა პერსონალური მახასიათებლების მიხედვით: ოჯახური მდგომარეობით სჭარბობენ დაოჯახებული პირები (372 პირი), ხოლო ბოლო ადგილს იკავებენ ქვრივები (11 პირი). განათლების კუთხით საკმაო უპირატესობით ლიდერობენ საშუალო (333 პირი) განათლების მქონე მოქალაქეები, ხოლო ბოლო ადგილზე დამნაშავეთა შემთხვევაშიც არიან განათლების არ მქონენი (11 პირი). დასაქმების მიხედვით ყველაზე დიდი წილი 60%-ზე მეტი მოდის უმუშევრებზე (406 პირი), ბოლო ადგილზე კი არიან სტუდენტები (15).

- დანაშაულის ჩადენაში მხილებული უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობით საქართველოს რეგიონებს შორის პირველი ადგილი უკავიათ აჭარასა (235 პირი) და თბილისს (83 პირი), ხოლო ბოლო ადგილზეა - გურია (1 პირი). 100 000 ვიზიტორზე დამნაშავე უცხოელთა ხვედრითი წილის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ისევ აჭარასა (4,2) და თბილისში (1,5), ხოლო ყველაზე დაბალი გურიაში (0, 1). სულ საქართველოში 2014 წელის პერიოდში დანაშაულის ჩადენაში მხილებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ხვედრითი წილი 100 000 ვიზიტორზე არის - 11,3, ხოლო 2013 წელს დაფიქსირდა - 10,7.

რეკომენდაციები

- საკურორტო სეზონის დროს (პლაჟი, სანაპირო...) ჭარბობს პირადი ნივთების ქურდობა (მობილური ტელეფონი, ფოტოაპარატი, ჩანთა...), რაც ხშირად ვლინდება უცხოელებთან მიმართებაშიც;

- ბინის ქურდობების მომეტებული რაოდენობა ფიქსირდება ზაფხულის საკურორტო პერიოდის დროს, როდესაც მოსახლეობა ქალაქებიდან დასასვენებლად მასობრივად მიემგზავრება;

- ძარცვის ფაქტების მატება შეინიშნება გვიანი შემოდგომიდან და განპირობებულია დღის ხანგრძლივობის კლებით და ადრე დაბნელებით, რაც ზრდის დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას;

- საახალწლო და სხვა სადღესასწაულო დღეებში არ ფიქსირება დანაშულის რაიმე განსაკუთრებული მატება, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ქართული ტრადიციიდან გამომდინარე, დღესასწაულებს ძირითადად ოჯახური ხასიათი აქვთ და ქუჩებში მასობრივი თავყრილობებით არ გამოირჩევა. ამავე პერიოდში, მცირე მატება აღინიშნება ავტო-საგზაო შემთხვევებთან მიმართებაში (ავტომანქანის მართვა ნასვამ მდგომარეობაში);

- ზოგადად, თაღლითობის შემთხვევათა თავიდან ასარიდებლად, სასურველია მეტი სიფრთხილის გამოჩენა უცნობ ხალხთან ურთიერთობისას (მათ შორის უცხოელებთანაც), განსაკუთრებით მათი კერძო ტრანსპორტით სარგებლობისას (გარდა ოფიციალური ტაქსო-პარკებისა), ხოლო ფაქტის დადგომის შემთხვევაში, დანაშაულის მსხვერპლმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ სამართალდამცავ სტრუქტურებს უფასო სატელეფონო ნომერზე - 112.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ და მათ მიმართ 2014 წელს საქართველოში ჩადენილ დანაშაულობათა ზოგადი მიმოხილვა

- 2014 წლის განმავლობაში დაფიქსირებულია მკვლელობის 1 ფაქტი, როდესაც დანაშაული ჩანედილია უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ. მკვლელობის მცდელობის 5 შემთხვევა, მათ შორის 3, როდესაც დანაშაული ჩადენილია უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ, 2 ფაქტი კი მათ მიმართ. დანაშაულები ჩადენილია თბილისში, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში და ქვემო ქართლში.

- მძიმე დანაშაულებიდან ფიქსირდება ყაჩაღობის - 24, ძარცვის - 37 ფაქტი და ქურდობის - 239 ფაქტი, როდესაც დაზარალებულია უცხო ქვეყნის მოქალაქე. ნარკოდანაშაულის - 90 და კონტრაბანდის - 71 ფაქტი , როდესაც დანაშაულის ჩამდენი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე

- ყველაზე აქტუალური დანაშაულები, რომლებზეც რაოდენობრივად ყველაზე მეტი პირი ფიქსირდება, უცხოელი მოქალქეების მიმართ არის ქურდობა (239 პირი), თაღლითობა (44 პირი), ცემა (76 პირი), სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესის დარღვევა (50 პირი), ძარცვა 37 პირი), ყაჩაღობა (24 პირი) და ხულიგობა (3 პირი), ხოლო უცხოელი მოქალაქეების მიერ უფრო მეტი სიხშირით ჩადენილია საზღვრის უკანონო კვეთა (65 პირი), დოკუმენტის გაყალბება (37 პირი), ქურდობა (80 პირი), ცემა (35 პირი) და სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესის დარღვევა (30 პირი) .

- მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში აღირიცხა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების 9 ფაქტი. შემთხვევების ყველაზე მეტი რაოდენობით გამოირჩევიან უზბეკეთის და ყირგიზეთის მოქალაქეები.

უცხოელების მიმართ ჩადენილი მძიმე დანაშაულობები

ტრეფიკინგი	• 5 ფაქტი მათში მონაწილე 7 უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ: ერთი ტაჯიკეთის, ორი ყირგიზეთის და ოთხი უზბეკეთის. დანაშაულები დაფიქსირდა აჭარაში.
მკვლელობის მცდელობა	• 2 ფაქტი - ირანის და თურქეთის მოქალაქეების მიმართ. დანაშაულები დაფიქსირდა აჭარაში და თბილისში.
ყაჩაღობა	• 24 ფაქტი - აზერბაიჯანის, ბელარუსის, გერმანიის, ერაყის, თურქეთის, ინდოეთის, პოლონეთის და უკრაინის მოქალაქეების მიმართ. დანაშაულის ჩადენის ადგილებია თბილისი, სამეგრელო, მცხეთა, ქვემო-ქართლი და აჭარა.
ძარცვა	• 37 ფაქტი - აშშ-ს, გერმანიის, აზერბაიჯანის, ბანგლადეშის, სომხეთის, თურქეთის, უზბეკეთის, რუსეთის, ირანის, ნიგერის, ნიგერიას, ესტონეთის, ინდოეთის, ლიტვის, ბელარუსის, უკრაინის, შრი-ლანკის და ჩინეთის მოქალაქეების მიმართ. დანაშაულის ჩადენის ადგილებია აჭარა, თბილისი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო-ქართლი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და იმერეთი.

უცხოელების მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულობები

მკვლელობის მცდელობა	• 3 ფაქტი - ჩადენილი ირანის და უზბეკეთის მოქალაქეების მიერ. დანაშაული დაფიქსირდა აჭარაში.
მკვლელობა	• 1 ფაქტი - ჩადენილი სომხეთის მოქალაქის მიერ. დანაშაული დაფიქსირდა სამცხე-ჯავახეთში.
ძარცვა	• 5 ფაქტი- აზერბაიჯანის, სომხეთის და თურქეთის მოქალაქეების მიერ. დანაშაულის ჩადენის ადგილებია: თბილისი, აჭარა და ქვემო-ქართლის რეგიონი.
ტრეფიკინგი	• 5 ფაქტი მათში მონაწილე 6 უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ: სამი უზბეკეთის, ერთი ტაჯიკეთის, ერთი ყირგიზეთის და ერთი თურქეთის მოქალაქეები. დანაშაულების ჩადენის ადგილია აჭარა.

უცხოელების მიერ ასევე უცხოელების მიმართ ჩადენილი მძიმე დანაშაულობები

თაღლითობა

- 2 ფაქტი - 1 ფაქტი უზბეკეთის მოქალქის მიერ უზბეკეთის მოქალაქის მიმართ და 1 ფაქტი რუსეთის მოქალაქის მიერ რუსეთის მოქალაქის მიმართ. ორივე დანაშაული დაფიქსირდა აჭარაში.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა

- 5 ფაქტი - 2 ფაქტი ყირგიზეთის მოქალაქეების მიერ ასევე ყირგიზეთის მოქალაქეების მიმართ და 3 ფაქტი უზბეკეთის მოქალაქეების მიერ ასევე უზბეკეთის მოქალაქეების მიმართ. დანაშაულის ჩადენის ადგილია აჭარა.

ტრეფიკინგი

- 3 ფაქტი - 1 ფაქტი ყირგიზეთის მოქალაქის მიერ ასევე ყირგიზეთის მოქალაქის მიმართ და 2 ფაქტი უზბეკეთის მოქალაქეების მიერ ასევე უზბეკეთის მოქალაქეების მიმართ. დანაშაულის ჩადენის ადგილია აჭარა.

უცხოელების მიერ უცხოელების მიმართ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის ფაქტების რაოდენობა 2014წელი

თაღლითობა
1 ფაქტი

ნივთის დაზიანება
1 ფაქტი

ცემა
1 ფაქტი

ოჯახში ძალადობა
1 ფაქტი

4 ფაქტი
ძალადობა-1, თაღლითობა-1, ტრეფიკინგი-2

ტრეფიკინგი
1 ფაქტი

უცხო ქვეყნის მოქალაქეების ვიზიტების რაოდენობა 2011-2014 წლებში



საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შედარება 2011-2014 წლებში





<u>შენიშვნა</u> უცხო ქვეყნის მოქალაქის სქესი გაურკვეველია: **2012წ. - 11 პირის, 2013წ. - 4 პირის და 2014წ. - 2 პირის,** ამიტომ გრაფიკში მათი ასახვა არ განხორციელებულა.

2014 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულად ცნობილ იქნა 559 უცხო ქვეყნის მოქალაქე



შენიშვნა შსს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების, სხვა სამინისტროების საგამოძიებო ორგანოებისა და პროკურატურების მიერ დაზარალებულად ცნობილ იქნა **53 უცხო ქვეყნის მოქალაქე**, რომელთა გრაფიკში ასახვა არ განხორციელებულა.

2014 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ხვედრითი წილი 100 000 ვიზიტორზე



საქართველოს ტერიტორიაზე 100 000 ვიზიტორზე სულ დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ხვედრითი წილია - 10,2.

შენიშვნა შსს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების, სხვა სამინისტროების საგამოძიებო ორგანოებისა და პროკურატურების მიერ დაზარალებულად ცნობილ იქნა 53 უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელთა გრაფიკში ასახვა არ განხორციელებულა და მათი საერთო რაოდენობის ხვედრითი წილია - 1,0.

2013-2014 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა

რაოდენობრივი შედარება



<u>შენიშვნა</u> შსს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების, სხვა სამინისტროების საგამოძიებო ორგანოებისა და პროკურატურების მიერ დაზარალებულად ცნობილ იქნა 2013 წელს 68 უცხო ქვეყნის მოქალაქე, 2014 წელს 53 უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელთა გრაფიკში ასახვა არ განხორციელებულა.

საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ხვედრითი წილი 100 000 ვიზიტორზე

2013-2014 წლები



საქართველოს ტერიტორიაზე სულ დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ხვედრითი წილი : 2013 წელი - 11, 2. 2014 წელი - 10,2

2014 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობრივი შედარება სქესის მიხედვით



საერთო რაოდენობა და პროცენტული გადანაწილება:

ქალი - 191 პირი - 34,2%

მამაკაცი - 366 პირი -65,5%

უცნობია - 2 პირი - 0,3%

შენიშვნა: შსს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების, სხვა სამინისტროების საგამოძიებო დეპარტამენტებისა და პროკურატურების მიერ დაზარალებულად ცნობილ იქნა 53 უცხო ქვეყნის მოქალაქე, (აქედან ქალი - 17; მამაკაცი - 35, უცნობია - 1) რომელთა გრაფიკში ასახვა არ განხორციელებულა.

2014 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობრივი შედარება ასაკის მიხედვით





საერთო რაოდენობა და პროცენტული გადანაწილება:

< 1-17 12- პირი - 2,3%
18-24 - 103 პირი - 18,1%
25-44 - 299 პირი - 53,6%
45-60 – 121 პირი - 22%
61 > - 17 პირი - 3 %
უცნობია - 5 პირი -1%

შენიშვნა უცხო ქვეყნის 2 მოქალაქის სქესი გაურკვეველია, აქედან გამომდინარე შეუძლებელია მათი ასაკობრივად ჩაშლა და გრაფიკებში ასახვა.

2014 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობრივი შედარება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით





<u>საერთო რაოდენობა და პროცენტული გადანაწილება:</u>

დასაოჯახებელი - 196 პირი - 35,5%
დაოჯახებული - 309 პირი - 52,9%
განქორწინებული 22 პირი - 5%
ქვრივი – 11 პირი - 1,3%
უცნობია -19 პირი - 5,3%

<u>შენიშვნა</u> უცხო ქვეყნის 2 მოქალაქის სქესი გაურკვეველია, აქედან გამომდინარე შეუძლებელია მათი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით ჩაშლა.

2014 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობრივი შედარება განათლების მიხედვით





<u>საერთო რაოდენობა და პროცენტული გადანაწილება:</u>

უმაღლესი 247 პირი - 44,2%
საშუალო - 205 პირი - 36,7%
ტექნიკური - 20 პირი - 3,6%
არასრული საშუალო – 15 პირი -2,9%
არასრული უმაღლესი - 41 პირი - 7,3%
განათლების გარეშე - 9 პირი - 1,6%
უცნობია - 20 პირი - 3,7%

<u>შენიშვნა</u> უცხო ქვეყნის 2 მოქალაქის სქესი გაურკვეველია, აქედან გამომდინარე შეუძლებელია მათი შედარება.

2014 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობრივი შედარება დასაქმების მიხედვით





საერთო რაოდენობა და პროცენტული გადანაწილება:

დასაქმებული კერძო სექტორში 199 პირი - 35,6%
დასაქმებული საჯარო სექტორში - 28 პირი - 5%
სტუდენტი - 34 პირი- 6,1%
მოსწავლე - 11 პირი - 2,1%
უმუშევარი 285 პირი - 51,2%

შენიშვნა უცხო ქვეყნის 2 მოქალაქის სქესი გაურკვეველია, აქედან გამომდინარე შეუძლებელია ამ მახასიათებლის მიხედვით მათი ჩაშლა და გრაფიკებში ასახვა.

2014 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები ქვეყნების მიხედვით


90
80
70
60
50
40
30
20
10
0
84
75
60
58
37
37
26
17
16
15
12
11
11
9
9
7
6
6
5
5
4
4
4
3
3
2
2
2
2
2
2
2
2
2
1
1
1

10 ქვეყანა, რომელთა ყველაზე მეტი მოქალაქე დაზარალდა საქართველოს ტერიტორიაზე 2014 წელს



10 ქვეყანა, რომელთა ყველაზე მეტი მოქალაქე დაზარალდა საქართველოს ტერიტორიაზე

2011-2012-2013-2014 წლები



2014 წელს საქართველოში დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რეგიონალური განაწილება 100 000 ვიზიტორზე



შიდა ქართლი
k1 –8; k2 – 0,1;

სამეგრელო-ზემო სვანეთი
k1 – 58; k2 – 1,0;

მცხეთა-მთიანეთი
k 1–1; k2 – 0;

იმერეთი რაჭა-ლეჩხუმი
k1 – 28; k2 – 0,5;

კახეთი
k1 – 20; k2 – 0,4;

გურია
k1 –1; k2 – 0.

აჭარა
k 1– 189; k2 –3,4;

სამცხე ჯავახეთი
k1 – 14; k2 – 0,2;

ქვემო ქართლი
k1 -38; k2 – 0,7;

თბილისი
k1 -149; k2 –2,7;

K2: 0
K2: 0,1 – 0,5
K2: 0,5 – 1,0
K2: 1,0 – 1,5
K2: 1,5 – 3,0
K2: 3,0 +

K1 - დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა.
K2 - დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ხვედრითი წილი 100 000 ვიზიტორზე.

შენიშვნა შსს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების, სხვა სამინისტროების საგამოძიებო დეპარტამენტებისა და პროკურატურების მიერ დაზარალებულად ცნობილ იქნა 53 უცხო ქვეყნის მოქალაქე, მათი საერთო რაოდენობის ხვედრითი წილია 1,0.

2011-2012-2013-2014 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში მხილებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობრივი შედარება





<u>შენიშვნა</u> უცხო ქვეყნის მოქალაქის სქესი გაურკვეველია: **2012წ. - 3 პირის, 2013წ. - 5 პირის და 2014წ. - 7 პირის,** ამიტომ გრაფიკში მათი ასახვა არ განხორციელებულა.

2014 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში მხილებულია 622 უცხო ქვეყნის მოქალაქე



შენიშვნა შსს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების, სხვა სამინისტროების საგამოძიებო დეპარტამენტებისა და პროკურატურების მიერ დანაშაულის ჩადენაში მხილებულ იქნა 146 უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელთა გრაფიკში ასახვა არ განხორციელებულა.

2013-2014 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში მხილებული უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობრივი შედარება რეგიონების მიხედვით



შენიშვნა შსს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების, სხვა სამინისტროების საგამოძიებო დეპარტამენტებისა და პროკურატურების მიერ დანაშაულის ჩადენაში მხილებულ იქნა2013 წელს 167, ხოლო 2014 წელს 146 უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელთა გრაფიკში ასახვა არ განხორციელებულა.

2014 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში მხილებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ხვედრითი წილი 100 000 ვიზიტორზე



საქართველოს ტერიტორიაზე სულ დანაშაულის ჩადენაში მხილებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ხვედრითი წილია 11,3

შენიშვნა შსს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების, სხვა სამინისტროების საგამოძიებო დეპარტამენტებისა და პროკურატურების მიერ დანაშაულის ჩადენაში მხილებულ იქნა 146 უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელთა გრაფიკში ასახვა არ განხორციელებულა. და მათი საერთო რაოდენობის ხვედრითი წილია 2,7.

საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში მხილებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ხვედრითი წილი 100 000 ვიზიტორზე

2013-2014 წლები



საქართველოს ტერიტორიაზე სულ დანაშაულის ჩადენაში მხილებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ხვედრითი წილია 2013 წელი - 10,7 2014 წელი 11,3

2014 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში მხილებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობრივი შედარება სქესის მიხედვით



<u>საერთო რაოდენობა და პროცენტული გადანაწილება:</u>

ქალი - 103 პირი - 16,5%

მამაკაცი - 512 პირი -82,4%

უცნობია -7 პირი - 1,1%

<u>შენიშვნა</u> შსს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების, სხვა სამინისტროების საგამოძიებო ორგანოებისა და პროკურატურების მიერ დანაშაულის ჩადენაში მხილებულ იქნა 146 უცხო ქვეყნის მოქალაქე, (აქედან ქალი -21 ; მამაკაცი - 124, უცნობია-1 პირი.) რომელთა გრაფიკში ასახვა არ განხორციელებულა.

2014 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში მხილებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობრივი შედარება ასაკის მიხედვით





საერთო რაოდენობა და პროცენტული გადანაწილება:

1- 17 – 8 პირი - 1,3%
18-24 – 94 პირი - 15,1%
25-44 – 365 პირი - 58,6%
45-60 – 118 პირი - 19 %
61 > - 25 პირი - 4 %
უცნობია -12 პირი - 2 %პირი

შენიშვნა უცხო ქვეყნის 7 მოქალაქის სქესი გაურკვეველია, აქედან გამომდინარე შეუძლებელია მათი ასაკობრივად ჩაშლა და გრაფიკებში ასახვა.

2014 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში მხილებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობრივი შედარება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით





<u>საერთო რაოდენობა და პროცენტული გადანაწილება:</u>

დასაოჯახებელი - 179 პირი - 29%
დაოჯახებული- 372 პირი-59,3%
განქორწინებული - 34 პირი - 5,5%
ქვრივი – 11 პირი - 2%
უცნობია - 26 პირი - 4,2%

<u>შენიშვნა</u> უცხო ქვეყნის 7 მოქალაქის სქესი გაურკვეველია, აქედან გამომდინარე შეუძლებელია ამ მახასიათებლის მიხედვით მათი ჩაშლა და გრაფიკებში ასახვა.

2014 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში მხილებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობრივი შედარება განათლების მიხედვით





<u>საერთო რაოდენობა და პროცენტული გადანაწილება:</u>

უმაღლესი - 155 პირი -25 %
საშუალო - 333 პირი - 53,3%
ტექნიკური - 22 პირი -3,5%
არასრული საშუალო – 47 პირი - 7,5%
არასრული უმაღლესი - 21 პირი -3,4%
განათლების გარეშე - 11 პირი - 2,0%
უცნობია - 33 პირი - 5,3%

<u>შენიშვნა</u> უცხო ქვეყნის 7 მოქალაქის სქესი გაურკვეველია, აქედან გამომდინარე შეუძლებელია ამ მახასიათებლის მიხედვით მათი ჩაშლა და გრაფიკებში ასახვა.

2014 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში მხილებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობრივი შედარება დასაქმების მიხედვით





<u>საერთო რაოდენობა და პროცენტული გადანაწილება:</u>

დასაქმებული კერძო სექტორში 192 პირი - 31%
დასაქმებული საჯარო სექტორში - 9 პირი - 1,4%
სტუდენტი - 15 პირი -2,4%
უმუშევარი – 406 პირი - 65,2%

<u>შენიშვნა</u> უცხო ქვეყნის 7 მოქალაქის სქესი გაურკვეველია, აქედან გამომდინარე შეუძლებელია ამ მახასიათებლის მიხედვით მათი ჩაშლა და გრაფიკებში ასახვა.

2014 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში მხილებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები ქვეყნების მიხედვით



დანაშაულის ჩადენაში მხილებულია **44უცხო ქვეყნის** მოქალაქე.

საერთო რაოდენობა: დანაშაულის ჩადენაში მხილებულია 622 პირი.

10 ქვეყანა, რომელთა ყველაზე მეტი მოქალაქე იქნა დანაშაულის ჩადენაში მხილებული საქართველოს ტერიტორიაზე 2014 წელს



10 ქვეყანა, რომელთა ყველაზე მეტი მოქალაქე იქნა დანაშაულის ჩადენაში მხილებული საქართველოს ტერიტორიაზე

2011-2012-2013-2014 წლები



2014 წელს საქართველოში დანაშაულის ჩადენაში მხილებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რეგიონალური განაწილება 100 000 ვიზიტორზე



K2: 0

K2: 0,01 – 0,5

K2: 0,5 – 1,0

K2: 1,0 – 1,5

K2: 1,5 – 2,0

K2: 2,0 +

K1 - დანაშაულის ჩადენაში მხილებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა.
K2 - დანაშაულის ჩდენაში მხილებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ხვედრითი წილი 100 000 ვიზიტორზე.

შენიშვნა შსს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების, სხვა სამინისტროების საგამოძიებო დეპარტამენტებისა და პროკურატურების მიერ დანაშაულის ჩადენაში მხილებულ იქნა 146 უცხო ქვეყნის მოქალაქე, მათი საერთო რაოდენობის ხვედრითი წილია 2,6.

უცხოელ დაზარალებულთა და დამნაშავეთა შედარება

(რაოდენობის მიხედვით პირველი 6 ქვეყნიდან)

2014 წელი



უცხოელ დაზარალებულთა და დამნაშავეთა პროცენტული განაწილება 2014 წელი

დაზარალებულები



დანაშაულის ჩამდენები



7 აქტუალური დანაშაული, რომლებზეც ყველაზე მეტი პირების რაოდენობა ფიქსირდება 2014 წელი

დაზარალებულები



დანაშაულის ჩამდენები



გმადლობთ

ყურადღებისთვის!